2-6612/20
22-06-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია: საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/455; 25.05.2020); საქართველოს კანონის პროექტი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ (N07-3/457; 27.05.2020); საქართველოს ორგანული კანონების პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (N07-3/458; 27.05.2020).

აღნიშნულ საკითხებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. თუმცა ვინაიდან პანდემიით შექმნილი ვითარება ამჟამადაც გარკვეულწილად შემაფერხებელი გარემოებაა საკითხების საკომიტეტო განხილვის კუთხით, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და აღნიშნული საკითხების სრულყოფილად მომზადების მიზნით, მათი საკომიტეტო განხილვის ვადები გაგრძელდეს 3 თვით.

ზემოხსენებული N07-3/457 და N07-3/458 საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადების გაგრძელების თაობაზე ასევე მოგვმართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/455; 25.05.2020) საქართველოს კანონის პროექტის საკომიტეტო განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ – საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-6598/20
22-06-2020

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

ბატონო ანრი,

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ვერ ხერხდება პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილ ვადაში განხილვა საქართველოს პარლამენტის წევრის ეკა ბესელიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/455; 25.05.2020). შესაბამისად, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად უზრუნველყოთ განხილვის ვადის გაგრძელება 1 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი კოვზანაძე